Lillehammer'94

ლილეჰამერი-94

რაკი კადრები შეიცვალა...

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ო. ფაცაცია, საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით დამტკიცდა ლილეჰამერისა და ატლანტის ოლიმპიადებისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტის განახლებული შემადგენლობა: ი. მენაღარიშვილი — პრემიერ-მინისტრის მოადგილე (ორგკომიტეტის თავმჯდომარე); კ. ასათიანი — სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე (ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე); ნ. გაფრინდაშვილი — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე); ა. ჩიკვაიძე — საგარეო საქმეთა მინისტრი; ა. ჯორბენაძე — ჯანდაცვის მინისტრი; თ. კვაჭანტირაძე — განათლების მინისტრი; დ. იაკობიძე — ფინანსთა მინისტრი; მ. ზანკალიანი —ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი; თ. შარაშენიძე — მინისტრთა კაბინეტის საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგე; თ. დუმბაძე — თავდაცვის მინისტრის მოადგილე; შ. კვირაია — შინაგან საქმეთა მინისტრი; ვ. ლორთქიფანიძე — საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე; ზ. ჭანკოტაძე — საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე; დ. ზუბიტაშვილი — კონცერნ „საქნავთობპროდუქტის“ პრეზიდენტი; ა. გოგელია — ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე; თ. გაჩეჩილაძე — გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი; ნ. ლეკიშვილი — ქ. თბილისის მერი; ნ. ჯავახიშვილი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი: ჯ. ბაგრატიონი, მ. მნათობიშვილი, თ. გურგენიძე— სამივე —სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე; ე. ზენაიშვილი — სეოკ-ის გენერალური მდივანი.

ვინ წავა ოლიმპიადაზე?

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან გვაცნობეს, რომ ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებზე ლილეჰამერში დაშვებულნი არიან მოციგავეები კახაბერ ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი, სამთომთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილი. ახლა ყველაფერი კეთდება, რათა თამაშებში მონაწილეობა მიიღონ მხტომელმა კახაბერ წაქაძემ, სამთომთხილამურეებმა გოჩა ჭელიძემ, ლევან აბრამიშვილმა და გიორგი კვავამ.

ყურადღება!

ლილეჰამერში (ნორვეგია) ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ორკვირიან ტურისტულ ჯგუფში გამგზავრების მსურველებმა დარეკონ 995—614.

+1

„ოლიმპიელი“

სპორტულ პრესას შეემატა კიდევ ერთი ახალი გამოცემა — გამოვიდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გაზეთი „ოლიმპიელის“ პირველი ნომერი.

ლელო

25-31 დეკემბერი, 1993 წ.
№ 80 (10868) ფასი 1500 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„სპორტული მიღწევებისათვის“

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა შესწორება შეიტანა ადრე მიღებულ კანონში, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით, ორდენებითა და მედლებით“ დაჯილდოებას. დებულების მე-4 პუნქტს დაემატა სიტყვები „სპორტული მიღწევებისათვის“.

ცნობა ფეხბურთის ფედერაციიდან

„შინაურებიც“ და ლეგიონერებიც

ამას წინათ გულშემატკივრებს ვაუწყეთ, რომ 22 იანვარს ინგლისის ქალაქ მანჩესტერში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის წილისყრა (ასპარეზობაში 47 ეროვნული ნაკრები ჩაებმება). ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მომზადების მიზნით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 6-10 თებერვალს დაგეგმილი აქვს მონაწილეობა მალტის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მასპინძელთა გარდა ითამაშებენ სლოვენიის და ტუნისის გუნდები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვაცნობეს, რომ ნაკრების ხელმძღვანელობა ალექსანდრე ჩივაძის მეთაურობით ყურადღებით ადევნებს თვალს, როგორ სპორტულ ფორმაში არიან არა მარტო ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ნაკრების კანდიდატები, არამედ უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერებიც: კახი ცხადაძე და მურთაზ შელია (გერმანია), გია გურული (საფრანგეთი), გოჩა გოგრიჭიანი, თემურ ქეცბაია, კახი კაჭარავა, დავით ყიზილაშვილი (კვიპროსი), გოჩა ტყებუჩავა (ფინეთი), შოთა და არჩილ არველაძეები (თურქეთი).

მასალას საქართველოს ეროვნული ნაკრების სამზადისზე შემოგთავაზებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში. **(იხ. მე-3 გვ.)**

ავტომატურად და დამსახურებულად

ფიდეს კონგრესის გადაწყვეტილებით, **ნინო ხურციძეს**, როგორც ახალ მსოფლიო ჩემპიონს 20 წლამდე ქალიშვილთა შორის, ავტომატურად მიენიჭა დიდოსტატის წოდება. ამიერიდან, დიდოსტატები გახდებიან 20 წლამდე ჭაბუკთა და ქალიშვილთა მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულები.

ამავე კონგრესმა დიდოსტატის წოდება მიანიჭა **გია გიორგაძეს**, ეს უფლებები დაუმტკიცა **ლაშა ჯანჯღავას** („რეიტინგ-ლისტში“ ქულების მომატების გამო). **ხვიჩა სუპატაშვილს** საერთაშორისო ოსტატაა წოდება მიექუთვნა.

ათი საუკეთესო

1993 წლის სპორტული სეზონის მიხედვით საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია ძალოსანი კახი კახიაშვილი. ასეთია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ტრადიციული საახალწლო გამოკითხვის შედეგი. გამოკითხვაში მონაწილეობდა თბილისის ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის 43 ჟურნალისტი.

სულ 38 სპორტსმენია დასახელებული (18 სახეობის წარმომადგენელი). 12 ბიულეტენში კ. კახიაშვილი იყო პირველი, 21-ში — მეორე და 3-ში — მესამე.

საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა წლევანდელი ათეული ასე გამოიყურება:

1. კახი კახიაშვილი (ძალოსნობა) — 394 ქულა
2. გიორგი კანდელაკი (კრივი) — 291
3. ზაურ ცხადაძე (ჭიდაობა) — 280,5
4. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — 251
5. დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) — 221,5
6. არჩილ ჩოხელი (სამბო) — 120
7. შოთა არველაძე (ფეხბურთი) — 114,5
8. თამაზ იმნაიშვილი (ხტუნდი) — 112,5
9. ნინო ხურციძე (ჭადრაკი) — 110
10. დავით ჭელიძე (ჭიდაობა) — 60,5

კახი კახიაშვილი

პროფესიული ბიბლიოთეკა

SOS!

საგანგაშო ფაქტები გამოვლინდა საქართველოს ცხენოსნობის და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე: რესპუბლიკაში უმოწყალოდ იხოცებიან წმინდასისხლიანი მერნები, განადგურდა საცხენოსნო კლუბები, რეალური საფრთხე შეექმნა ჩვენში არა მარტო ცხენოსნობის კლასიკური სახეობებისა და თანამედროვე ხუთჭიდის, არამედ ცხენოსნობის ეროვნული სახეობების შენარჩუნებას, არაფერი კეთდება თბილისის სახელმწიფო იპოდრომის კეთილმოსაწყობად.

* * *

ბაკურიანიდან მიღებული ცნობით აქ გრძელდება სპორტული ბაზების ძარცვა. ახლა თურმე საბაგირო გზებსაც აღარ ინდობენ.

კალათბურთი. ვაქთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. I ქვეჯგუფი. II წრის I ტური. „კაქტუსი“ — „ჯიქი“ 95:65; „ვითა“ — „შევარდენი“ 85:40, „შევარდენი“ — „კაქტუსი“ 47:73; „მერანი“ — „ვითა“ 60:81; „ჯიქი“ — „შევარდენი“ 50:76, „კაქტუსი“ — „მერანი“ 89:55. „მერანი“ — „ჯიქი“ 70:51. ტურში „კაქტუსი“ უნდა შეხვედროდა „ვითას“, მაგრამ „კაქტუსის“ კალათბურთელები წინა დღით იტალიაში გაემგზავრნენ, სადაც საერთაშორისო ტურნირში იყვნენ მიწვეულნი. „თბილისი“ — „ვითა“ 74:81; „თბილისი“ — „ჯიქი“ 117:97; „კაქტუსი“ — „აზოტი“ 95:75; „თორსი“ — „მერანი“ 102:78; „თბილისი“ — „შევარდენი“ 128:92; „ვითა“ — „დინამო“ 97:75.

29 დეკემბერს 12 საათზე ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის აღმასკომის გაფართოებული სხდომა.

მსაჯთა დასწრება სავალდებულოა.

* * *

● **ორგანიზაცია** ყიდის 1994 წლის პლაკატ-კალენდარს „ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავები“. ფასი და ანგარიშსწორება შეთანხმებით. დარეკეთ 995-614.

● **ორგანიზაცია** გასცემს დოლარს პროცენტებით. დარეკეთ 995-614.

მილოცვები

ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ივანე ხოჭოლავას**.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ბიჭიკო შელიას**.

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ახალ, 1994 წელს ულოცავს რესპუბლიკის ყველა სპორტსმენს და სპორტის მუშაკს.

ამიერიდან — აკადემიები

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დადგინდა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ოთხი კატეგორია: აკადემია, უნივერსიტეტი, ინსტიტუტი და კოლეჯი. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები ფიზიკური კულტურის აკადემიებად გადაკეთდა.

კუპონი და სხვა ვალუტა

ეროვნულმა ბანკმა 23 დეკემბრიდან ერთი კვირის ვადით დაადგინა ქართულ კუპონთან სხვა ვალუტის შეფარდების კურსი. 1 აშშ დოლარი — 98.819 კუპონი, 1 გერმანული მარკა — 57.731,64 კუპონი, 10 თურქული ლირა — 71,15...

WORLD CUP'94

მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა

ლას-ვეგასი (აშშ). გაიმართა ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის წილისყრა. გუნდები წინასწარ ჯგუფებში განაწილდნენ ასე:

I ჯგუფი. აშშ, შვეიცარია, კოლუმბია, რუმინეთი.

II ჯგუფი. ბრაზილია, რუსეთი, კამერუნი, შვეცია.

III ჯგუფი. გერმანია, ბოლივია, ესპანეთი, კორეა.

IV ჯგუფი. არგენტინა, საბერძნეთი, ნიგერია, ბულგარეთი.

V ჯგუფი. იტალია, ირლანდია, ნორვეგია, მექსიკა.

VI ჯგუფი. ბელგია, მაროკო, ჰოლანდია, საუდის არაბეთი.

ჩემპიონატი გაიხსნება 17 ივნისს ჩიკაგოში გერმანია-ბოლივიის მატჩით. ფინალური ორთაბრძოლა გაიმართება ლოს-ანჯელესში, 17 ივლისს.

აქვე, ამ დღეს დაასახელეს მსოფლიოს 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიით. 71-მა მწვრთნელმა უძლიერესად აღიარა იტალიის „იუვენტუსის“ მოთამაშე რობერტო ბაჯო.

კახაბერ ცხადაძე

პროფესიონალის ცხოვრება ასეთია

ინტერვიუ ფრანკფურტის „აინტრახტის“ მოთამაშესთან კახაბერ ცხადაძესთან, რომლის ავტორიც გახლავთ ჟურნალისტი ბორის ხოდოროვსკი, დაიბეჭდა ყოველკვირეულ „ფუტბოლნი კურიერში“. გთავაზობთ ამ საუბარს შემოკლებით.

● **თქვენი მწვრთნელი კეთილად არის განწყობილი ჟურნალისტების მიმართ. როგორი ურთიერთობა აქვს მას ფეხბურთელებთან (ლაპარაკია „აინტრახტის“ მწვრთნელ კლაუს ტოპმელერზე)?**

— ჩვენ პროფესიონალები ვართ და ამიტომ ყველამ ვიცით ჩვენი საქმე. ვარჯიშის დროს მწვრთნელის სიტყვა კანონია, თავისუფალ დროს კი... ფეხბურთელებთან თითო კათხა ლუდსაც დალევს.

● **გერმანია მესამე ქვეყანაა შვეციისა და რუსეთის შემდეგ, სადაც გამოდიხართ როგორც ლეგიონერი. როგორ ფიქრობთ, ეს მორიგი საფეხურია, თუ თქვენი კარიერის მწვერვალი?**

— „აინტრახტთან“ მაქვს სამწლიანი კონტრაქტი. იგი, რა თქმა უნდა, ჩემი გუნდია, მაგრამ თუ ჩემპიონი გავხდი, შეიძლება ახალი მწვერვალის დაპყრობაზე ვიფიქრო. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ იტალიის „ა“ სერია.

● **ერთხელ განაცხადეთ, რომ „აინტრახტთან“ შუამავლობა გაგიწიათ სრულიად უცნობმა კაცმა, ვინმე გრიშამ ისრაელიდან. ახლა მაინც თუ იცით, ვის უნდა უმადლოდეთ ბუნდესლიგაში თამაშს?**

— ეს ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის უნდა უმადლოდეს. შუამავლობისთვის პროცენტები იმ კაცმა მიიღო, ჩემი მენეჯერისგან გავიგე ამ პიროვნების გვარი, მაგრამ პირადად გაცნობა ჯერ ვერ მოვახერხე.

● **თქვენ უკვე დაფუძნდით გერმანიაში, გაქვთ საკუთარი სახლი, ხომ არ მოწყდებიან თქვენი შვილები მშობლიურ ფესვებს?**

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს სპორტის ლაშქარიც იცავს!

სპორტსმენებმა იციან, როგორ იბრძოლონ სამშობლოსათვის

ჩვენს წინ ზის უბრალო, ერთი შეხედვით ხევრისგან არაფრით გამორჩეული, ოცდაათს გადაცილებული მამაკაცი. საუბრობს დინჯად, ძალდაუტანებლად, დამაჯერებლად, დროდადრო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრძოლისა და ტყვეობის ეპიზოდებს იხსენებს, თვალები ცეცხლოვანი უხდება. საუბრიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ის სამშობლოს ჯარისკაცია და მუდამ მზადაა სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლოს საქართველოს კეთილდღეობისთვის.

გივი ქენქაძე — დაიბადა 1960 წელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი და თასის მფლობელი, მონღოლეთის საერთაშორისო ტურნირის ოთხგზის ლაურეატი, ღია აფრიკული თამაშების ჩემპიონი, მრავალი სხვა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა სამაჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთში, განიცადა ტყვეობა, კვლავ ომობდა, მიიღო კონტუზია, ამჟამად გვარდიის პოლკოვნიკი და ახალგორის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე გივი ქენქაძე ბატალიონ „დიდგორში" ირიცხება. გივი სულ ორიოდე დღით ჩამოვიდა თბილისში და იგი რედაქციაში გვაწვია საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორმა, საქართველოს სპორტსმენთა დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის ფონდის პრეზიდენტმა ედიშერ მაჩაიძემ.

მონოლოგი: ყმაწვილობიდან საფიცრად მიმაჩნდა დავით აღმაშენებელი, ეროვნული გვარდიის შექმნისთანავე გადავწყვიტე ჩამომეყალიბებინა ბატალიონი, რომელიც ძირითადად სპორტსმენებისგან დაკომპლექტდებოდა. დამთანხმდნენ, ბატალიონს „დიდგორი" დაერქვა. სამაჩაბლოში მივიღეთ ნათლობა. პირველი მსხვერპლიც იქ გავიღეთ — დაგვეღუპა უშიშარი ალპინისტი გურამ ნიჟარაძე, ერთი კვირის შემდეგ 19 წლის მოჭიდავე ბესო ზოცირიძე გამოგვაკლდა. შემდეგ იყო აფხაზეთი. სოხუმიდან გაგრაში გადავედით, იქ ორჯერ დაიჭრა სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში ილო ბერიაშვილი. გაგრის დაცემის წინადღეებში კოლხიდაში ვიდექით.

● **თქვენთვის მოულოდნელი იყო გაგრაზე შემოტევა?**

— სამწუხაროდ, მოულოდნელი იყო. ღამის 2 საათზე მე ვაცნობე მიხეილ მარინაშვილს და გივი კვანტალიანს, რომ შეიმჩნეოდა მტრის ძალების კონცენტრაცია, იკავებდნენ პოზიციებს.

● **რა რეაქცია მოჰყვა თქვენს გაფრთხილებას?**

— არავითარი.

...1 ოქტომბერს მთელი ღამე მიმდინარეობდა ბრძოლები. გამთენიისას მძიმე ტექნიკის გამოყენებით შეტევა წამოიწყო მოწინააღმდეგემ. ერთადერთი ნაღმსატყორცნით, რომელიც გააჩნდა გივი ქენქაძის ბატალიონს, მწყობრიდან გამოიყვანეს ჯავშანტრანსპორტიორი და ხელთ იგდეს ორი ქვეითთა საბრძოლო მანქანა, მერე დიდგორელებს ტყვია-წამალი გაუთავდათ და ხუთსაათიანი უთანასწორო ბრძოლა მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტეს. ბიჭებმა გაგრისკენ დაიხიეს, მაგრამ იქ უკვე მტერი შეჭრილიყო ზურგიდან, ბატალიონი, ფაქტობრივად, ალყაში აღმოჩნდა. 2 ოქტომბერს გივი ტყვედ ჩავარდა, 4-ში ქუთაისელი თენგიზ კოღუაშვილი (საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში) დაატყვევეს, დანარჩენები ტყეებში გაიფანტნენ. გივი ოთხჯერ გაიყვანეს დასახვრეტად, რვა დღის შემდეგ კი იგი ბომბორას აეროპორტში რვა ტყვეში გაცვალეს. თენგიზი კი 46 დღე ჰყავდათ გუდაუთაში.

მონოლოგი: ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ ისევ შევკრიბე ბატალიონი. ვიბრძოდით შრომა-ახალშენის მიმართულებით. იქ დაგვეღუპა დილმელი მოჭიდავე პაატა ჯანიაშვილი, ოჩამჩირეში კი კასპელი მოჭიდავე ზაურ ლაფერაშვილი იმსხვერპლა მტრის ტყვიამ.

● **თქვენი ბატალიონის მეომრებიდან კიდევ ვის გამოყოფდით?**

— დილმელ მოჭიდავეებს — ძმებ ვაჟა და თამაზ ხოსიტაშვილებს, ჭაბუკებში—მსოფლიო ჩემპიონს, გალელ მოჭიდავეს გელა უბილავას, გულრიფშელ სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში ვალერი ოჩიგავას...

● **სხვა მეომარ სპორტსმენებზე და მათ ბედზე თუ გსმენიათ რამე?**

— გაგრაში მილიციის შენობაში დახვრიტეს ცნობილი კალათბურთელი იური ძიძიგური. ეს ამბავი გუდაუთის საპყრობილეში გავიგე. ერთ-ერთმა ბოლო მეომარმა მსოფლიო ჩემპიონმა ახალგაზრდებში სოხუმელმა ფალავანმა გია ყურაშვილმა დატოვა თავისი ქალაქი. სოხუმის დასაცავად ვაჟკაცურად იბრძოდნენ ამ ქალაქის მკვიდრნი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები — 65 წლის აბესალომ გოგიშვილი, შოთა კიკაბიძე და ამირან მაისურაძე, თავისუფალ ჭიდაობაში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ერთადერთი ქართველი პრიზიორი ელდარ კურტანიძე და ამავე ჩემპიონატის მონაწილე დავით ხურცია. გაგრაში დაიჭრა ლესელიძელი მწვრთნელი გოგლა ხარებავა. გვერდიგვერდ ვიბრძოდი ყმაწვილ ვახტანგ თედიაშვილთან, მამამისი ლევანიც იმ დროს სოხუმში ომობდა.

მინდა აქვე ორიოდე სიტყვა გითხრათ ლეგენდარულ გენო ადამიაზე. ამ კაცს სპორტის თავგამოდებულ ქომაგად იცნობდნენ. ბავშვობიდან დაგვყვებოდა შეჯიბრებებზე, მისი შვილი გოჩა ადამია, მოჭიდავე იყო, გოჩაც თავდადებით იბრძოდა. გენოსთან ერთად დაიკარგა ცნობილი ფალავანი... შონია.

● **ახლა რას აპირებთ?**

— სანამ პირში სული მიდგას, ერთი ოცნება მექნება: ჩავიდე იქ, სადაც დამატყვევეს და ჯოჯოხეთში გამატარეს. მთავარია, ქართველმა არ ჩაგვცეს ზურგში მახვილი.

ერთი შეკითხვა ედიშერ მაჩაიძეს: რა არის თქვენი ფონდის მიზანი?

— ჩვენს საქმიანობაში გამოკვეთილია ორი მიმართულება — ხელი შევუწყოთ სპორტსმენებს ოსტატობის ამაღლებაში და მეორე — დავეხმაროთ იმ სპორტსმენებს და მათ ოჯახებს, ვინც ომობდა ან დაიღუპა და სოციალურ თანადგომას საჭიროებს.

ესაუბრა თენგიზ თომაშვილი.

• • •

მინაწერი: ეს წერილი მომზადებული გვქონდა, როცა რედაქციაში გვეწვია გივი ქენქაძის ერთი თანამებრძოლი და მისი ლექსები გვაჩვენა. ტკივილიანია სანგრებში დაწერილი ყველა სტრიქონი. ერთი ლექსი ასე მთავრდება:

„მე დამაჩოქეს, ო, რა მწარეა,
ქართველის გულში ჩაღვრილი ხევდა,
ნუთუ ის მიწა, გულით რომ დამაქვს,
მხოლოდ სატირლად მარგუნა
ბედმა..."

გია ნადარეიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

გია ნადარეიშვილი მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული საჭადრაკო კომპოზიტორი გახლდათ პროფესიით ნევროპათოლოგი დიდ დროს უთმობდა ჭადრაკს. იგი იყო სსრ კავშირის ოსტატი, საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო ოსტატი კომპოზიციაში. მისი 500-მდე ნაშრომიდან დიდი ნაწილი შეტანილია საჭადრაკო ქრესტომატიებში. მიღებული ჰქონდა მრავალი პრემია.

გია ნადარეიშვილის ღვაწლს სათანადოდ აფასებს და ვრცელ წერილს უძღვნის ესპანური პოპულარული საჭადრაკო ჟურნალი, რომელიც მთელს მსოფლიოში ვრცელდება. სხვათა შორის, ამ ჟურნალის თანარედაქტორია ჩვენი თანამემამულე ელიზბარ უბილავა, სარედაქციო კოლეგიაში შედიან ზურაბ აზმაიფარაშვილი, ედუარდ გუფელდი და გია გიორგაძე.

დაუვიწყარი სახელები

სანდრო კანდელაკი



იგი სამართლიანად ითვლებოდა ყველაზე ღონიერ კაცად ჩვენში და ამიტომაც საქართველოს გოლიათი დაარქვეს. ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ ყოფილა, მერე ქსანში მებორნედ დაუწყია მუშაობა. მდინარეზე წყალი რომ დაიკლებდა, ხალხი ხელით გადაჰყავდა ხოლმე. ზღაპრული ჯანი ჰქონდა და ათი კაცის აკიდება არ უჭირდა. ურჩიეს, ჭიდაობა დაეწყო და სარეკომენდაციო წერილით თბილისს ჩავიდა.

ქალაქში მაშინ რამდენიმე საჭიდაო წრე იყო. სხვებზე მეტად სახელი მიხა ქურხულს, ისაკა მთიელსა და შაშო ვერელს ჰქონდათ გავარდნილი. ჭიდაობა საღამო ხანს იმართებოდა და კარგა ბლომად ხალხსაც იზიდავდა. სანდრო კანდელაკმა მალე დაიმსახურა საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული.

პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს. მისი ზომის ფარაჯა ვერ იშოვეს და პოლონეთის დედაქალაქის ქუჩებში ქართული ჩოხით დააბიჯებდა. დიდებული სანახავი ყოფილა ეს მთა-კაცი.

ომის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ზაფხულს მშობლიურ მცხეთაში ატარებდა, შემოდგომაზამთარს კი თბილისის ცირკებში — მონაწილეობდა ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატებში. სანდრო კანდელაკი სხვადასხვა დროს შეხვედრია ივანე პოდუბნის, ივანე ზაიკინს, ფეოდორ კოჟემიაკინს, სხვა ცნობილ რუს და უცხოელ ფალავნებს. 1938 წელს, 46 წლისამ, მოსკოვში მონაწილეობა მიიღო „გოლიათთა ტურნირში" და ხანდაზმულობის მიუხედავად მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველ ალექსანდრე სენატოროვის შემდეგ.

სასიქადულო ფალავანს არაერთი ეპიზოდური როლი აქვს განსახიერებული ქართულ ფილმებში. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: „ჯანყი გურიაში", „ხანუმა", „უკანასკნელი ჯვაროსნები", „ქაჯანა", „ქაჯეთი", „ხიდი ენგურზე", „მეგობრობა", „გიორგი სააკაძე".

წლეულს სახელოვან ქართველ ფალავანს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ქართული ჭიდაობის ფედერაცია

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატზე (ბრისბენი, ავსტრალია, 1994 წლის აპრილი) აკრედიტაციის მსურველებმა მიმართეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას (რუსთაველის, 42, ტელ.: 99-08-22).

პროფესიონალის ცხოვრება ასეთია

(დასასრული)

— მე მუდამ ვამბობ, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ საქართველოში დავბრუნდები. მეუღლე ქართველი მყავს და შვილებს ჩვენი წესებით ვზრდით. ბუნებრივია, აქ ისინი ყველაფერს კარგს აიღებენ: ენას, კულტურას, ტრადიციებს...

● **გერმანიაში ცხოვრების წესი განსხვავებულია. ხომ არ გინდათ, თავი მიანებოთ ყველაფერს და შინ დაბრუნდეთ?**

— ზოგჯერ, „მიმინოს" გმირისა არ იყოს, თვითმფრინავიდან გადმოხტომა მინდა, დავჯდე მეგობრებთან, ვისაუბრო, თითო ჭიქა ღვინო გადავკრა, მაგრამ იწყება ვარჯიშები და ყველაფერი მავიწყდება — პროფესიონალის ცხოვრება ასეთია.

● **თქვენს სამშობლოს მძიმე დღეები უდგას. ახალ ამბებში ხშირად ერთად ჰყვებიან იუგოსლავიისა და საქართველოს გაჭირვების შესახებ. უცხოეთში მოთამაშე იუგოსლაველი ფეხბურთელები თავიანთი ჰონორარის ნაწილს ჰუმანიტარული დახმარების სახით სამშობლოში გზავნიან. თქვენ არ გაგჩენიათ ასეთი სურვილი?**

— ჯერ კიდევ მოსკოვში თამაშის დროს ვაგზავნიდი ფულს დახმარების სხვადასხვა ფონდში. ამ ცოტა ხნის წინ „აინტრახტის" პრეზიდენტთან მქონდა საუბარი საქართველოსთვის ეფექტური ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. იგი დამპირდა ასეთ დახმარებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანაპირებს უსათუოდ შეასრულებს.

● **თქვენ ესენგეს ნაკრების ერთი იმ ფეხბურთელთაგანი ხართ, რომელმაც უარი თქვა რუსეთის გუნდში თამაშზე. არადა, ამ გზით მსოფლიო ჩემპიონატში შეგიძლიათ მონაწილეობა. ხომ არ ნანობთ თქვენს კატეგორიულ პოზიციას?**

— მე ახლაც მაძლევენ წინადადებას რუსეთის ნაკრებში თამაშის თაობაზე. ბუნებრივია, გულში რაღაც მიღიტინებს, ბოლოს და ბოლოს, კაცს ხელ იძლევა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის შანსი, მაგრამ მე ქართველი ვარ და არ შემიძლია სხვაგვარად მოვიქცე.

● **თქვენი გამოჩენა ესენგეს ნაკრებში ბევრისთვის მოულოდნელი იყო. როგორ აღმოგაჩინეს შვეციის მეორეხარისხოვან კლუბში?**

— ახლა აღარავის ახსოვს, რომ სსრ კავშირის ჭაბუკთა და იუნიორთა ნაკრებ გუნდებში ვთამაშობდი. არადა, ესენგეს ნაკრების ხელმძღვანელობამ იცოდა ჩემი შესაძლებლობები. რასაც არ უნდა ამბობდნენ ბიშოვეცზე, მე მისი მადლიერი ვარ, ვინაიდან მომცა უმაღლეს დონეზე თამაშის შანსი.

● **„აინტრახტში" კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ ალბათ არის შანსი, რომ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეთ, ვინაიდან შემადგენლობაში თქვენს კლუბს ხუთი უცხოელი ჰყავს.**

—დავიწყოთ იმით, რომ მეხუთე ჩვენს კლუბში სულ ახლახან მოვიდა — სლობოდან კომლენოვიჩი მაშინ იყიდეს, როცა იებოამ ტრავმა მიიღო. ისიც უნდა ვთქვა, რომ კონკურენციის არ მეშინია. ამიტომაც, ფაქტობრივად, სულ ვთამაშობ.

● **ოკოჩა ყოველი გატანილი გოლის შემდეგ ლამბადას ასრულებს. თქვენს წარმატებას ლეკურით ხომ არ აღნიშნავთ?**

— ბუნდესლიგაში ჯერ არ გამიტანია გოლი, თუმცა საშუალება ბევრჯერ მქონდა. როცა გავიტან, მაშინ ვნახოთ. მაგრამ, ვფიქრობ, საქმე ლეკურზე არ მიდგება. ემოციას სხვაგვარად გამოვხატავ.

● **მიგაჩნიათ თუ არა ვარსკვლავად თქვენი თავი?**

— ასეთ შეფასებას საკუთარ თავს არ აძლევენ.

● **ლოთარ მათეუსი კი ხულ მუდამ ამას ლაპარაკობს.**

—მათეუსი საერთოდ მოლაპარაკე კაცია, როგორც ფეხბურთელი კი — განუზომლად დიდი.

მინაწერი: იმ საღამოს კახაბერ ცხადაძემ კიდევ ორი ინტერვიუ მისცა უკრაინელ ჟურნალისტებს — რატომ აძლევთ პასუხსაგები მატჩის წინ რეპორტიორებს ამდენ უფლებას? — ჰკითხეს „აინტრახტის" მწვრთნელს ტოპმელერს. — ჩემი ბიჭები მაღალი კლასის მოთამაშენი არიან და პრესის ყურადღებას უნდა იმსახურებდნენ — თქვა მან — ცხადაძე კი— მათ შორის პირველ რიგში.

სპორტული ტელეეკრანი

საქართველო

26 დეკემბერი. 22.15. ოლიმპიური ლატარია.

„ოსტანკინო"

25 დეკემბერი. 16.35. სპორტული პროგრამა „ულტრა-სი". **26 დეკემბერი. 10.30.** „სპორტლოტო", **22.45.** სპორტული უიქ-ენდი.

„როსია"

25 დეკემბერი. 15.50. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. **26. დეკემბერი. 15.05.** ნბა-ს საუკეთესო თამაშები.

27 დეკემბერი. 19.10. გოლი.

27 დეკემბერი. 21.30. ქრონო, ავტო და მოტოსპორტის სამყაროში. **23.30.** სპორტული კარუსელი. **28 დეკემბერი. 23.30.** სპორტული კარუსელი.

საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში

როგორც იქნა...

ასეთი გაჭიანურებული საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთის სტაჟიან გულშემატკივრებსაც არ ახსომებათ. ასპარეზობა ჯერ კიდევ გაზაფხულის პირველ თვეს დაიწყო, ფინალი კი წლის მიწურულს მოეწყო და იგი ვერეს საწყლოსნო კომპლექსმა შეიკედლა. შეჯიბრების ასეთი „გაწელვა", მიხვდებოდით, „კარგი ცხოვრების" ანუ გაყინული აუზების ბრალია.

ფინალურ ტურნირში თბილისის ოთხი გუნდი იბრძოდა მხოლოდ და ესეც ენერგო კრიზისმა განაპირობა — „ვერ ჩანდნენ" აჭარის, ქუთაისის და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

დასკვნითი შეხვედრები წაუგებლად წარმართა „დინამომ", რომელმაც დიდი უპირატესობით (14:10, 14:3, 5:0) სძლია „მესეფენი"-თსუ-ს, „მართვესა" და სტუ-ს გუნდებს, მეორე ადგილზე გავიდა „მესეფენი"-თსუ, მესამეზე — „მართვე".

სპორტული ბიბლიოთეკა

„შინაურების“ და ლეგიონერების

(დასასრული)

მასალა მზად იყო, როდესაც უეფას შტაბ-ბინიდან თბილისს დაბრუნდა სფფ-ს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. გთავაზობთ მის ნაამბობს:

„ჟენევაში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტით მიიწვიეს უეფას წევრი ქვეყნების ფეხბურთის მესვეურები.. ჩატარდა ჭაბუკთა შორის მომავალი 1994-95 წლების ევროპის ჩემპიონატის წილისყრა.

16 წლამდე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ფინალი ბელგიაში მოეწყობა. შედგა 15 შესარჩევი ჯგუფი, საიდანაც დასკვნით ეტაპზე მონაწილეობის უფლებას თითო გამარჯვებული მიიღებს. საქართველოს ნაკრები მოხვდა მე-9 ჯგუფში სლოვენიისა და სომხეთის გუნდებთან.

18 წლამდე ჭაბუკთა პირველობაზე, რომლის ფინალი საბერძნეთში გაიმართება, ჩვენების მეტოქე ჯგუფში უკრაინისა და სომხეთის გუნდები იქნებიან.

წილისყრამდე ორი დღით ადრე შედგა უეფას „ტასკ ფორსის“ სხდომა (როგორც გულშემატკივრებმა იციან, ეს ორგანო წყვეტს ნაკრები გუნდების ასპარეზობებში დაშვების საკითხს). არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღეს ერთობ დისკრიმინაციული გადაწყვეტილება — საქართველოს, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ხორვატიის ნაკრებებს, მათ ქვეყნებში არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციის, კომუნიკაციების (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა) მოშლის გამო, ჯერჯერობით ეკრძალებათ თამაშების შინ ჩატარება. ასე რომ, თუ საქართველოში სიტუაცია არ გაუმჯობესდა, ჩვენები ითამაშებენ დსთ-ს რომელიმე ქვეყანაში, ხოლო ხორვატიები — მეზობლებთან.

როგორც იცით, 22 იანვარს მანჩესტერში ჩატარდება მომავალი ევროპის ჩემპიონატის წილისყრა, როგორც ეროვნულ ნაკრებებს, ასე ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის, ეს უკანასკნელი კი ერთდროულად ოლიმპიური ციკლის შესარჩევი ტურნირია. ასე რომ, გაისად საქართველო ოფიციალურ შეჯიბრებებში წარმოდგენილი იქნება 4 ნაკრები გუნდით (დაახლოებით 80 ფეხბურთელი და 10 მწვრთნელი). გუნდების უკეთ მომზადების მიზნით დაგეგმილია სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებებში მათი მონაწილეობა. მაგალითად, 16 წლამდე ჭაბუკები მაისში ორკვირიან შეკრებას გაივლიან გერმანიაში, ვაპირებთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (ბელგია, გერმანია, ავსტრია, თურქეთი) სტაჟირებაზე გავაგზავნოთ ჩვენი მწვრთნელები.

სფფ-ში ფუნქციონირება დაიწყო მწვრთნელთა საბჭომ, რომელიც დაგეგმავს ქართული ფეხბურთის განვითარების სტრატეგიას, ღონისძიებებს ნაკრები გუნდების უკეთ მომზადებისთვის და ა. შ.

რაც შეეხება თეთრაძეს, იგი 1990-91 წლებში იყო საქართველოს ნაკრების წევრი, მონაწილეობდა ლობერიძის სახელობის თასზე. მასზე დიდ იმედებს ვამყარებდით. მოსკოვში გადასვლის შემდეგ სფფ-ს წარმომადგენელი თენგიზ კაცია ეწვია მას და ცხადაძეს და სთხოვა დაედასტურებინათ საქართველოს ნაკრებში მონაწილეობის სურვილი. ცხადაძე უყოყმანოდ დაგვთანხმდა, თეთრაძემ კი არც მოუსმინა ჩვენს მუშაკს და ცინიკურად უპასუხა: მე რუსეთის მოქალაქეობას ვიღებ და ამ ქვეყნის ნაკრებში სადირინმა მიმიწვიაო“.

ჯემალ ჟიპაშვილი

* * *

დამაფიქრებელი პასუხები

● **ამერიკულმა** ფირმა „ჰარის პოლმა“ ჩაატარა გამოკითხვა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით. ანკეტაში მონაწილეობა მიიღო 1256-მა რესპონდენტმა. მათგან 13-მა პროცენტმა საერთოდ არ იცოდა, რომ ასეთი ტურნირი ტარდება აშშ-ში, 50-მა პროცენტმა განაცხადა, რომ არ აპირებს ტელერეპორტაჟების ყურებას, 69 პროცენტი კი კატეგორიულად აცხადებს, რომ არ წავა სტადიონზე.

პორტერფილდი ზამბიაში

● **ინგლისური** კლუბის „ჩელსის“ მწვრთნელი იან პორტერფილდი სათავეში ჩაუდგა ზამბიის ეროვნულ ნაკრებს. კონტრაქტი ინგლისელ სპეციალისტთან გაგრძელდება 1995 წლამდე.

გარდაიცვალა ჩეკი-გორი

● **რომში** 73 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა ცნობილი კინოპროდიუსერი და „ფიორენტინას“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი მარიო ჩეკი-გორი.

50 ათასი დამატებით

● **როგორც** „ფრანს ფუტბოლი“ იუწყება, „მონაკოს“ ის მოთამაშეები, რომლებიც ქვეყნის ნაკრებში არიან დაკავებულნი, კლუბისგან დამატებით 50 ათას ფრანკს იღებენ. ეს გარკვეული სტიმულია ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის.

უცნაური სასჯელი

● **ვინძე ვილიან** პასკის, რომელმაც აგვისტოში ცხვირპირი დაუმტვრია კაზინოდან შინ მიმავალ „მონაკოს“ მცველს ემანუელ პეტის, ქალაქ ნიცის სასამართლომ ექვსი თვით პირობითი პატიმრობა, ჯარიმა და 100 საათი საზოგადოებრივი მუშაობა მიუსაჯა.

* * *

ლევ ძეკონსკი

გარდაიცვალა ქართული საკალათბურთო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ლევ ძეკონსკი, კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართული სპორტის სამსახურს შესწირა და აღზარდა სახელოვან სპორტსმენთა არაერთი თაობა.

თბილისელი მოსწავლე კალათბურთში მოიყვანა ფიზკულტურის მასწავლებელმა და შესანიშნავმა პედაგოგმა მიხეილ ცხვედაძემ. 30-იანი წლების მიწურულს უკვე ჩამოყალიბებული კალათბურთელი თბილისის „ლოკომოტივში“ მიიწვიეს. 1938 წელს ამ გუნდმა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა, საკავშირო ჩემპიონატის მეორე ჯგუფშიც გამოიჩინა თავი და მომდევნო წელს, უკვე უმაღლეს ლიგაში, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ორმოციან წლებში დაიწყო ქართული კალათბურთის არნახული აღზევება. მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, როგორც თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის წევრი, ლევ ძეკონსკიც გახლდათ (ამ გუნდმა ორჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ოქროს მედლები). იმავე პერიოდში, უკვე ცნობილმა კალათბურთელმა, ხელი სამწვრთნელო საქმიანობასაც მოჰკიდა და, როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, ქალთა გუნდის მეურვეობა იკისრა. ხულ მალე ლევ ძეკონსკის ხელმძღვანელობით შეიკრა მონოლითური და ძლიერი კოლექტივი, რომელმაც ჯერ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, მერე კი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებსაც დაეუფლა.

ლევ ძეკონსკის სახელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქალთა კალათბურთის ყველა წარმატებასთან იყო დაკავშირებული. მან აღზარდა ბევრი მაღალი კლასის ოსტატი, მათ შორის ევროპის ჩემპიონიც. დიდ პედაგოგიურ ნიჭთან ერთად გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობით და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

ამაგდარ მოღვაწეს შარშან 80 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს კალათბურთის ფედერაცია.

ვალერიან ვეშაგური

ქართველ მოჭიდავეთა დიდ და სახელოვან საძმოს კიდევ ერთი ღირსეული ფალავანი გამოაკლდა — 66 წლისა გარდაიცვალა ვალერიან ვეშაგური, ადამიანი, რომელმაც კაცურად განვლო მთელი ცხოვრება.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ხელოვნებას 14 წლის ასაკში ეზიარა გამოჩენილი მწვრთნელისა და ორგანიზატორის ვახტანგ კუხიანიძის ხელმძღვანელობით. 1947 წელს საქართველოს ნაკრებმა პირველად მოიპოვა ერთ-ერთი პრესტიჟული პრიზი — სსრკ-ს თასი. გუნდში, რომლის ღირსებას იცავდნენ გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე, ილია ბობოხიძე, ვალარშაკ მაჩკალიანი და სხვები, იყო ვალერიან ვეშაგურიც, ასე რომ, მისი წვლილი ამ წარმატებაში ერთობ ფასეულია.

1950 წელს სსრკ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ექვსი წლის მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, მრავალჯერ გაიმარჯვა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს ჩემპიონატებში.

სპორტიდან წასვლის შემდეგ სამეურნეო სფეროში მოღვაწეობდა, თუმცა ჭიდაობას არასოდეს ივიწყებდა — ხშირად ესწრებოდა შეჯიბრებებს, რჩევებით ეხმარებოდა ახალგაზრდა ფალავნებს, უნერგავდა მათ სპორტის სიყვარულს, კაცურ თვისებებს. წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობდა ჭიდაობის ფედერაციაში როგორც მისი ღირსეული წევრი.

პატიოსანი, მართალი, ქვეყანასთან, ხალხთან და საქმესთან გულმოდგილი კაცის —ვალერიან ვეშაგურის სახელს არასოდეს დაივიწყებენ ისინი, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

* * *

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

3 დეკემბერი

აღმოსავლეთი ზონა

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1-0

„დინამო“ (თბილისი) — „მრეტები“ (თბილისი) 6-2

„ერქვანი“ (გურჯაანი) — „დილა“ (გორი) 1-4

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კახეთი“ (თელავი). არ შედგა.

დასავლეთი ზონა

„გურია“ (ლანჩხუთი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1-0

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 3-4

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-2

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-1

6-7 დეკემბერი

აღმოსავლეთი ზონა

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „მრეტები“ (თბილისი) 1-2

„კახეთი“ (თელავი) — „ივერია“ (ხაშური) 1-4

დასავლეთი ზონა

„შუქურა“ (ქობულეთი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 2-1

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 7-2

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1-4

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3-4

9 დეკემბერი

აღმოსავლეთი ზონა

„ერქვანი“ (გურჯაანი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2-2

„დილა“ (გორი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2-1.

დასავლეთი ზონა

„სამტრედია“ (სამტრედია) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-3

„ბათუმი“ (ბათუმი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 0-2

12 დეკემბერი

აღმოსავლეთი ზონა

„მრეტები“ (თბილისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1-2

„ივერია“ (ხაშური) — „ერქვანი“ (გურჯაანი) 7-3

„დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3-1

„კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-7

დასავლეთი ზონა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1-0

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3-4

15 დეკემბერი

აღმოსავლეთი ზონა

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დინამო“ (თბილისი) 1-5

დასავლეთი ზონა

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-5

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2-1.

მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

4 დეკემბერს დასრულდა პირველი წრე.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თეთრი არწივი“ (თბილისი)	17	15	—	2	46—41	45
„ანცი“ (თბილისი)	17	14	1	2	43—4	43
„დურუჯი“ (ყვარელი)	17	13	1	3	37—15	40
„ნაფარეული“ (ნაფარეული)	17	11	2	4	38—19	35
„ჭაბუკიანი“ (ჭაბუკიანი)	17	9	2	6	35—19	29
„სიონი“ (ბოლნისი)	17	8	1	8	26—25	25
„არაგვი“ (დუშეთი)	17	8	1	8	27—31	25
„კრწანისი-ზოოვეტი“ (თბილისი)	17	7	4	6	29—27	25
„მესხეთი“ (ახალციხე)	17	7	2	8	26—31	23
„რკონი“ (კასპი)	17	7	1	9	27—35	22
„თორი“ (ბორჯომი)	17	6	3	8	26—31	21
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	17	6	2	9	28—29	20
„მერანი-ბაჩო“ (თბილისი)	17	5	2	10	26—37	17
„არმაზი-90“ (თბილისი)	17	4	4	9	26—28	16
„მერანი-91“ (თბილისი)	17	4	4	9	15—32	16
„შირაქი“ (დედოფლისწყარო)	17	4	3	10	13—47	15
„ქართლი“ (გორი)	17	2	2	13	13—42	8

როგორც ხედავთ, პირველი ადგილისთვის, რომელიც პირველ ჯგუფში თამაშის უფლებას იძლევა, ბრძოლას ძირითადად ოთხი გუნდი აგრძელებს. თვალსაჩინოა „თეთრი არწივის“ წარმატება. თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე წელს ჩამოყალიბებულ არმიელთა კლუბის წინსვლაში უდიდესი როლი შეასრულა თვით მინისტრის გიორგი ყარყარაშვილის უშუალო დაინტერესებამ — გუნდს შეექმნა ყველა პირობა სასწავლო საწვრთნელი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის. ასევე ერთგულად უდგას მხარში „ანცს“ მისი მეპატრონე —კორპორაცია „მ. კ.“-ს პრეზიდენტი მიხეილ კიკალიშვილი. მეორე წრეში, ვფიქრობთ, „ანცის“ აქციები აიწევს, ვინაიდან მას სათავეში გამოცდილი გიგა ნორაკიძე ჩაუდგა. „დურუჯის“ წარმატება უპირველესად განაპირობა კლუბის მთავარ მწვრთნელად ოთარ გაბელიას მოსვლამ. კვლავ სამაგალითოდ რჩება ნაფარეულელთა მეცენატის მერაბ ხიდაშელის სიყვარული ფეხბურთისადმი.

რაც შეეხება დასავლეთ ზონას, აქ თამაშები დეკემბრის ბოლომდე გრძელდება.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა

გაიმართა ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტურნირის II ტურის შეხვედრები. „ბ“ ჯგუფში იტალიის „მილანის“ ფეხბურთელებმა შინ არავითარი შანსი არ დაუტოვეს პორტუგალიის „პორტოს“ — 3-0, ხოლო მატჩი გერმანიის ქალაქ ბრემენში ადგილობრივ „ვერდერსა“ და ბელგიის „ანდერლეხტს“ შორის მართლაც სენსაციურად წარიმართა: ბელგიელები პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყვნენ ანგარიშით 3-0 და მათი გამარჯვებაც ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ „ვერდერმა“ შესვენების შემდეგ მთლიანად გარდატეხა თამაშის მსვლელობა, ჯერ სამივე გოლი გაქვითა და მერე კიდევ ორი ბურთი გაიტანა — 5-3.

„ა“ ჯგუფში მოსკოვის „სპარტაკმა“ მიიღო სტამბოლის „გალათასარაი“, სტუმრებმა მეტოქის მინდორზე ქულა აიღეს — 0-0. თამაშის მსვლელობაში მინდვრიდან გააძევეს ორი სპარტაკელი (მამედოვი, ონოპკო) და ერთიც თურქი (რაინარდი).

დაბოლოს, ცენტრალური მატჩი შედგა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში — ადგილობრივმა კლუბმა ანგარიშით 2-0 დაამარცხა საფრანგეთის „მონაკო“.

გათამაშების ცხრილები:

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბარსელონა“	2	1	1	0	2-0	3
„მონაკო“	2	1	0	1	4-3	2
„გალათასარაი“	2	0	2	0	0-0	2
„სპარტაკი“	2	0	1	1	1-4	1

„ბ“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მილანი“	2	1	1	0	3-0	3
„ვერდერი“	2	1	0	1	7-6	2
„პორტო“	2	1	0	1	3-5	2
„ანდერლეხტი“	2	0	1	1	3-5	1

III ტურის მატჩები შედგება გაისად გაზაფხულზე, 2 მარტს.

უეფას თასი

გთავაზობთ უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრათა შედეგებს (ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩების შედეგები): „დეპორტივო“ (ლა კორუნია, ესპანეთი) — „აინტრახტი“ (ფრანკფურტი, გერმანია) 0-1 (0-1), „ბოავიშტა“ (პორტო, პორტუგალია) — „ოფი კრეტა“ (საბერძნეთი) 2-0 (4-1), „კაზინო“ (ზალცბურგი, ავსტრია) — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) 3-0. დამატებით დროში, (0-2), „კარლსრუე“ (გერმანია) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 3-0 (0-1), „ტენერიფე“ (ესპანეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2-1 (0-3), „კალიარი“ (იტალია) — „მეჰელენი“ (ბელგია) 2-0 (1-3), „ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია) — „ბრონდბიუ“ (კოპენჰაგენი, დანია) 1-0 (1-1), „ინტერი“ (მილანი, იტალია) — „ნორვიჩ სიტი“ (ინგლისი) 1-0 (1-0).

მეოთხედფინალში გავიდნენ: „აინტრახტი“, „ბოავიშტა“, „კაზინო“, „კარლსრუე“, „იუვენტუსი“, „კალიარი“, „ბორუსია“, „ინტერი“. ამ ეტაპის თამაშები გაიმართება 1994 წლის მარტს.

მოეწყო უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „კალიარი“ — „იუვენტუსი“, „ბორუსია“ — „ინტერი“, „ბოავიშტა“ — „კარლსრუე“, „აინტრახტი“ — „კაზინო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე რუსებსაც უჭირთ...

ბატუტზე მხტომელი ქართველი გოგოები ყველა შეჯიბრებაზე ფავორიტთა შორის არიან. 1986 წლიდან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის რუსუდან ხოფერიას, ლია ბენდიანიშვილისა და ანა დოლონაძის მიერ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებიდან ჩამოტანილ ოქროს და ვერცხლის მედლებს თვლა არა აქვს. აი, თუნდაც სულ ახლახან, თვენახევრის წინ რუსუდანი და ანა შვეიცარიიდან ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომებში ევროპის ჩემპიონატის ორ-ორი ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდნენ. და აი, ახალი წარმატება: გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გამართულ მსოფლიო თასის პირველ ფინალურ გათამაშებაში ხოფერია — დოლონაძის (მწვრთნელი ზაურ სულაშვილი) დუეტმა ყველას აჯობა სინქრონულ ხტომაში და მთავარი პრიზი მოიპოვა, ინდივიდუალურ ხტომებში კი დოლონაძემ მეორე ადგილი დაიკავა.

რუსუდან ხოფერია: რომ არა გერმანელი კოლეგების გულისხმიერება და დახმარება, პირველ ადგილზე გასვლა გაგვიჭირდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიოში ახლა ჩვენს მეტი არავინ ვარჯიშობს ძველი ტიპის ბატუტებზე. საერთაშორისო შეჯიბრებები ეგრეთ წოდებულ ევროტრამპის ბატუტებზე ეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებისთვის ჩვენი წყვილი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იყო, მაინც მიგვიწვიეს სტუმრად თასის გათამაშებამდე ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიშების ჩასატარებლად.

ილო მუჩიაშვილი: ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: შარშან მოსკოვში „დობროვოლსკის პრიზზე" საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაეცვნენ ერთმანეთს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ზაურ სულაშვილი და მისი გერმანელი კოლეგა როლანდ ბერგერი. ისინი მალე დამეგობრდნენ კიდეც. ამასწინანდელ ევროპის პირველობაზე შეხვედრისას გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა, გაითვალისწინა რა საქართველოში შექმნილი მძიმე სიტუაცია, ჩვენი გოგოების ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშებამდე ერთი კვირით ადრე მიიწვია მშობლიურ ქალაქ ბილეფერდში და წვრთნისთვის ყოველგვარი პირობები შეუქმნა მათ. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის, სპორტსაზოგადოებების „მართვესა" და „შევარდენის" უშუალო დახმარება-შემწეობით გუნდი დროულად გაემგზავრა გერმანიაში. ჩვენს გოგოებს მინიტრამპში (მცირე ზომის ბატუტი) ევროპის ჩემპიონმა ნადინ ჰინტრუპმა და მისმა ოჯახმა უმასპინძლა.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): რუსუდან ხოფერია, ილო მუჩიაშვილი, ნადინ ჰინტრუპი, ზაურ სულაშვილი, ანა დოლონაძე.

● ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილების დაკავების შემდეგ თასის მოგებაზე თუ ფიქრობდით?

სხვაგვარად შეჯიბრებაზე გამგზავრებას აზრი არ ჰქონდა. გერმანელთა მიწვევამ ხელ-ფეხი გაგვიხსნა. ჯერ ერთი, ახალი ტიპის ბატუტს შევეჩვიეთ, მეორეც, ახლოს გავიცანით მთავარი მეტოქე — გერმანელ ქალთა დუეტი, ამიტომაც ასპარეზობის წინ გადავწყვიტეთ ჩვენს გოგოებს კომპოზიცია ურთულესი კოეფიციენტით შეესრულებინათ, რითაც უშუალო მდევარს უკვე სტარტზევე ვუგებდით 0,4 ქულით. რუსიკომ და ანამ ბრწყინვალედ შეასრულეს ვარჯიში, 45,8 ქულა და მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურეს.

გერმანელთა წყვილი (ჰერტრუდ როვე და თინა ლუდვიგი) 0,8 ქულით ჩამორჩა ჩვენს გოგოებს. რაც შეეხება ინდივიდუალურ ხტომებს, აქ ანა დოლონაძეს მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, კერძოდ, 1992 წლის მსოფლიო ჩემპიონი ინგლისელი ანდრეა ჰოლმსი და მისი თანაგუნდელი, 1993 წლის ევროპის ჩემპიონი სიუზან შალის-შოტანი, რომ არაფერი ვთქვათ გერმანელ, უკრაინელ და ბელორუს სპორტსმენებზე. ანამ გაბედულად იასპარეზა და 36,7 ქულით შალის-შოტანთან ერთად ვერცხლის მედალი დაიმსახურა. თასის მფლობელი გახდა ჰოლმსი.

● რუსუდან ხოფერია რატომ არ მონაწილეობდა ინდივიდუალურ ხტომებში?

მსოფლიო თასის გათამაშებას თავისი წესები აქვს — ინდივიდუალური ხტომების ფინალში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის, მხოლოდ ის 10 სპორტსმენი დაიშვება, ვისაც შვიდი შესარჩევი შეჯიბრებიდან სამი საუკეთესო შედეგით მეტი ქულა ექნება. ჩვენმა გოგოებმა მხოლოდ ორ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. სექტემბერში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო ეტაპშიც უნდა გვეასპარეზა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გავემგზავრეთ. რუსიკოს ორი ეტაპის ჯამით მხოლოდ მეთერთმეტე შედეგი აღმოაჩნდა და ფინალში ვერ მოხვდა. ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ 1990 წელს იგი გათხოვდა და ორი წელი არ უვარჯიშია. უნდა ითქვას ისიც, რომ თუ ვინმემ სპონსორობა არ გაგვიწია, ჩვენს საუკეთესო სპორტსმენ ქალებს მომავალშიც ბევრი ასპარეზობის გამოტოვება მოუწევთ, ისევე როგორც ვაჟებს, რომლებიც უსახსრობის გამო ბოლო წლებში არც ერთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე არ გამოსულან, არადა, თავიანთი ოსტატობით ბევრი ქვეყნის ბატუტისტებს ტოლს არ დაუდებენ.

● რუსეთის სპორტსმენები ყოველ შეჯიბრებაზე ფავორიტები იყვნენ, ამჯერად კი არ ჩანდნენ, რა მოხდა?

რ. ხოფერია: რუსეთის ნაკრების წევრი ტატიანა ლუშინა 1986 წლის მსოფლიო პირველობის აბსოლუტური ჩემპიონია. მანვე გაიმარჯვა 1988 და 1991 წლების ევროპის ჩემპიონატებზე ინდივიდუალურ ხტომებში, 1990 წელს კი — მსოფლიო ჩემპიონატზე სინქრონულში. ირინა სლონოვაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორია. 1990 და 1992 წლების მსოფლიო ჩემპიონია სინქრონულ ხტომებში ალექსანდრ დანილჩენკო. ცხადია, მათი მონაწილეობა თასის გათამაშებას უფრო დაძაბულს გახდიდა, მაგრამ, გასაკვირიც უნდა იყოს, უსახსრობის გამო რუსეთის ნაკრებმა მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებზე ვერ იასპარეზა და მისი წევრები, ცხადია, ფინალს მიღმა დარჩნენ.

● ყველაზე მეტად რით დაგამახსოვრდათ ფრანკფურტში ჩატარებული ასპარეზობა?

ანა დოლონაძე: უსაზღვრო სიხარული განვიცადეთ, როცა დარბაზში საქართველოს დროშა აღიმართა და ჩვენი ჰიმნი აჟღერდა. ერთი სიურპრიზი კი შეჯიბრების დამთავრების მეორე დღეს გველოდა: დელეგაციის წევრები ერთად ვისხედით სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში და ის იყო, სადილობისთვის ვემზადებოდით, რომ ფრანკფურტის „აინტრახტში" მოთამაშე კახი ცხადაძე გამოგვეცხადა ცოლშვილითურთ. ჩვენი გამარჯვების ამბავი წინა საღამოს ტელევიზიით გაეგო და გვესტუმრა. კახიმ ოთხივენი თავის სახლში მიგვიპატიჟა და გულღიად გაგვიმასპინძლა.

● სამომავლო გეგმებზეც გკითხავთ...

ი. მუჩიაშვილი: მსოფლიო თასის ფინალი წელს ბოლო შეჯიბრება იყო.. გაისად ახალ შეჯიბრებებში ჩავებმებით, ეს იქნება მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპები, საერთაშორისო შეჯიბრებები, ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის და, რაც მთავარია, მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში. გვჯერა, ამ შეჯიბრებებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მოსამზადებლად ჩვეულ ენერგიასა და შემართებას არ დაიშურებენ მწვრთნელები ზაურ სულაშვილი, თენგიზ ხუდოევი, ნატალია და ვალერი ჩხაბერიძეები, იგორ ჩერნიავსკი, ზაალ ხიზანიშვილი, ლია ბენდიანიშვილი და სხვები, ოღონდ ეს არის, შემძლე ქართველებმაც უნდა გაგვიმართონ ხელი.

ესაუბრა **ვაჟა დანელია.**

ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების ფინალური ეტაპის ტექნიკური შედეგები:

ინდივიდუალური ხტომები. ქალები: 1. ანდრეა ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი) — 37,2 ქულა; 2. ანა დოლონაძე (საქართველო) და სიუზან შალის-შოტანი (დიდი ბრიტანეთი) — ორივეს 36,7. **ვაჟები:** 1. ფაბრიციო შვარცი (საფრანგეთი) — 38,1; 2. მარტინ კუბიჩკა (გერმანია) — 37,5; 3. ფაბრიციო ჰენკე (საფრანგეთი) — 37,4.

სინქრონული ხტომები: ქალები: 1. რუსუდან ხოფერია-ანა დოლონაძე (საქართველო) — 45,8; 2. ჰერტრუდ როვე-თინა ლუდვიგი (გერმანია) — 45,0; 3. ნატალია კარპენკოვა-ვერა პიშჩიკო (ბელარუსი) — 44,5. **ვაჟები:** 1. ვიაჩესლავ მოროზოვი-ნიკოლაი კაზაკი (ბელარუსი) — 47,6; 2. სერგეი ბუხოვცევი-სერგეი ტიაბუსი (უკრაინა) — 46,8; 3. ფაბრიციო შვარცი-ფაბრიციო ჰენკე (საფრანგეთი) — 46.6.

ინფორმაცია

● **ჰიუვინკაა.** ფინეთის ამ ქალაქში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. რუსეთის ათლეტებმა ტრადიციული გამარჯვება მოიპოვეს. ფინალში მათ მასპინძლები დაამარცხეს მხოლოდ უმნიშვნელო უპირატესობით — 6:4. მესამე ადგილზე გავიდნენ კორეის წარმომადგენლები. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, ასევე, აშშ-სა და უნგრეთის მოჭიდავეები. იტარ-ტასსის კორესპონდენტის განმარტებით, რუსეთის გუნდი, ძირითადად, ახალგაზრდა „კლასიკოსებით" იყო დაკომპლექტებული.

● **მოსკოვი.** რუსეთის კალათბურთელთა ნაკრებს, რომელიც ემზადება ევროპის 1995 წლის პირველობისთვის და ატარებს შესარჩევ მატჩებს, ხელმძღვანელობს სერგეი ბელოვი. გუნდის შემადგენლობაში არიან: სერგეი ბაბენკო და დმიტრი შაკულინი (ორივე გერმანიაში თამაშობს), ევგენი კისურინი (იტალია), ანდრეი ფეტისოვი (ესპანეთი), სერგეი ბაზარევიჩი და სერგეი პანოვი (ორივე — თურქეთი), ვიტალი ნოსოვი (სლოვენია), აგრეთვე რუსეთში დარჩენილი მაქსიმ ასტანინი, ვლადისლავ კონდრატოვი, ვასილი კარასევი და მიხაილ მიხაილოვი.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ალექსანდრე ჭელიძე

ამბობენ, ზორბა ადამიანი გულკეთილობით გამოირჩევაო. ალექსანდრე ჭელიძეც მოსული, ჩასკვნილი კაცი იყო და სიცოცხლის ბოლომდე გულკეთილი, ცოტა არ იყოს, ბავშვურად მიამიტიც კი დარჩა. ბოლომდეო, ვთქვით, სულ კი 38 წელიც არ უცხოვრია, მაგრამ, რაც იცხოვრა, ლამაზად, კაცურად, სუფთად.

ყველაფერში ლამაზს ეძებდა. ალბათ ამიტომაც უყვარდა ბავშვობიდანვე ხატვა და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. მერე სპორტმა გაიტაცა. ყველა საქმეს გულით ეკიდებოდა და ამიტომაც არ არის შემთხვევითი მისი წარმატებები სპორტში. ახლობლები წუხდნენ, ხატვას ნაკლებ დროს უთმობსო. ის კი კეთილად გაიღიმებდა და — ახლა ორი ხელობა მაქვსო, იტყოდა.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რესპუბლიკის ნაკრების ღირსებას იცავდა; „კოლმეურნის" წევრმა 1980 წელს ორჯერ გაიმარჯვა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში, 1981 წელს კი ტოლი არავის დაუდო ამ დარგის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე, იყო საქართველოს ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი. 1976 წელს გახდა სპორტის ოსტატი.

ჭიდაობაშიც საკუთარი სტილი ჰქონდა. აქაც ავლენდა მისწრაფებას სილამაზისადმი. კეთილი გულის გამო თანაგუნდელებს და მეგობრებს გამორჩეულად უყვარდა, დარწმუნებული ვიყავით, არასოდეს გვიღალატებდა. სერიოზული ტრავმის გამო ნაადრევად მიატოვა სპორტი და მისი იმედი მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში დაგვრჩა, თუმცა განა ეს ცოტაა?

სპორტს მაინც ვერ შელია. გარდაცვალებამდე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის წამყვანი მასწავლებელი და მწვრთნელი იყო...

ლამაზად იცხოვრა და ოჯახიც ლამაზი დატოვა—მშვენიერი მეუღლე და მშვენიერი ქალ-ვაჟი.

წავიდა ჩვენგან საყვარელი მეგობარი, კარგი სპორტსმენი, სიკეთით სავსე ადამიანი. ქვეყანას კიდევ ერთი ღირსეული მოქალაქე მოაკლდა. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

მეგობრები

ზაზა გობეჯიშვილი

ზაზა გობეჯიშვილი მოკლეს! როგორ დავიჯეროთ ეს საშინელი ამბავი, ერთიანად რომ დაგვზაფრა ყველა.

კიდევ ერთხელ ჩამოკრა გლოვის ზარმა მოჭიდავეთა კერიაში — „ფალავანთა კლუბში". საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მწუხარებამ მოიცვა, იმ დღეს ვარჯიში აღარ ჩატარებულა... შენი კეთილი გულის ფასი რომ სცოდნოდა, ვინ იცის, იქნებ უგულობასაც დანანებოდი სიკვდილისათვის, იქნებ აღარ გაეწირე ასე უსინდისოდ და შეუბრალებლად, არადა, რაოდენ სპეტაკი და კეთილშობილი იყავი, რაოდენ ალალი, სიკეთით მადლცხებული, ყველას მოსიყვარულე და ნუგეში.

რამდენჯერმე მოასწარი საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. გულმოდგინედ ემზადებოდი 1994 წლის სპორტული სეზონისთვის. უმიზეზოდ ხომ არც ერთი ვარჯიში არ გაგიცდენია. სიბეჯითეს არც სწავლას აკლებდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

ბევრი აუხდენელი ოცნება დაგრჩა... 23 წლისა ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, არავისთვის გიწყენინებია. მუხანათის ნასროლმა ტყვიამ ისე მოგცელა, ვერც გაიგე, რა მოხდა, რისთვის გაგიმეტეს.

მშვიდობით, ზაზა! შენი სპეტაკი სული ახლა უკვე ზეციური საქართველოს ბინადარია.

თანაგუნდელები

ზაზა ხიდეშელი

დიდი უბედურებაა, როცა 23 წლის ვაჟკაცი მიდის წუთისოფლიდან, თანაც უკეთურის მიერ ნასროლი ტყვიით გულგანგმირული. არადა, ზაზა ხიდეშელს კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლა, ვინაიდან სჭირდებოდა თავის ოჯახს, საძმოს, ნათესავ-მეგობრებს.

დაამთავრა თბილისის 184-ე საშუალო სკოლა. ბავშვობიდან გატაცებული იყო თავისუფალი ჭიდაობით და, ოცნება რომ აესრულებინა, სისტემატური წვრთნა დაიწყო ჭაბუკთა სექციაში გამოცდილი მწვრთნელისა და პედაგოგის შურა მაისურაძის ზედამხედველობით.

ზაზა ხიდეშელს, როგორც მოჭიდავეს, უსათუოდ კარგი მომავალი ექნებოდა, გაუთვალისწინებელი შემთხვევა რომ არა — ვარჯიშის დროს დაშავდა და სამუდამოდ დატოვა სარბიელი. ჭიდაობას თავი დაანება, მაგრამ არ წასულა მისი სამყაროდან, ვინაიდან გული დარჩა იქ, სადაც მისი თანატოლები ბეჯითად და გულმოდგინედ მიიკვლევდნენ გზას ოსტატობის მწვერვალისკენ.

მას მოჭიდავეთა შორის ბევრი მეგობარი ჰყავდა. ზედმიწევნით ზრდილი, წესიერი და გამტანი ყმაწვილი ყველას უყვარდა. მას რჩევას ეკითხებოდნენ ახლობლები, ყურს უგდებდნენ და ხშირად ჰბაძავდნენ კიდეც. ისინი იმ საბედისწერო დღესაც ერთად იყვნენ, ზაზა ხიდეშელი და ზაზა გობეჯიშვილი — განუყრელი მეგობრები და სულიერი ძმები, როცა ბოროტმოქმედის ხელმა სიცოცხლე მოუსწრაფა ორ ჯანღონით სავსე ახალგაზრდას.

მეგობრები

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში
ალექსანდრე ჭელიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ● ტელეფონი 99-58-14 ინდექსი 66435 ● ИНДЕКС დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში".